ოქმი N 4

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

20 მარტი 2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. აკაკი ხურცილავა
3. ნინო ბოკუჩავა
4. გივი ლატარია
5. მაკა ჩარტია
6. ია ჯიშკარიანი
7. გოჩა ქაჯაია
8. მზია ლემონჯარია
9. ლელა ადანაია

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ახალის“ თავმჯდომარის ი. ჯიშკარიანი 2024 წლის 19 მარტის N51-51240794 განცხადების განხილვა (ფრაქცია „თავისუფალი პლატფორმის“ სახელწოდების ცვლილების შესახებ)

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ახალის“ თავმჯდომარის ი. ჯიშკარიანი 2024 წლის 19 მარტის N51-51240794 განცხადების განხილვა (ფრაქცია „თავისუფალი პლატფორმის“ სახელწოდების ცვლილების შესახებ)

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა განაცხადა, რომ „ფრაქცია "თავისუფალი პლატფორმის" თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია ფრაქციისთვის სახელწოდების ცვლილების თაობაზე, რომლის საფუძველზეც ფრაქციას ეწოდა „ახალი". კომისიის მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიაჩნია, რომ დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ფრაქციის სახელწოდების ცვლილებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტები: „ფრაქცია „თავისუფალი პლატფორმის" რეგისტრაციის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: **9** ; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი: „ფრაქცია „თავისუფალი პლატფორმის" რეგისტრაციის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე ცნობის სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი